განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 13 დეკემბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30 იანვარი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლებისსაფეხური	ბაკალავრიატი (პირველი საფეხური)
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეკონომიკის ბაკალავრი - 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე - კინგსი-საქართველო აღმასრულებელი მენეჯერი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2013 წლიდან. 2018 წლის 17 იანვარს აკრედიტაციის საბჭოს №12 გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტია, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, ძირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა - 75 კრედიტი (60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი Minor სპეციალობა), პროფესიულ პრაქტიკას - 5 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომს - 10 კრედიტი.

პროგრამა შედგენილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით. პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, არის სიცოცხლისუნარიანი და ექვემდებარება განვითარებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, რომლის საფუძველი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები, ადამიანური რესურსის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვებგვერდზე www.bsu.edu.ge განთავსებული ინფორმაცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა შედგა 2018 წლის 11 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 13 ნოემბერს განხორციელდა ვიზიტი დაწესებულებაში, სადაც წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, ვინაიდან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის სასწავლო გეგმაში მიზანშეწონილია გასწორდეს I, II, III სემესტრებში ინგლისური ენის სწავლების დონეები (მაგ. პირველივე სემესტრში შესაძლებელი უნდა იყოს ინგლისური ენის, როგორც A1, ასევე B1.1 დონის შეთავაზება).
  - რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკის“ სწავლის შედეგები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსის შინაარსთან.
  - მიზანშეწონილია ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით კვლევით ნაწილში მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაცია.
  - მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს პროგრამაში დარგობრივი აკადემიური პერსონალის დამატება.
  - მიზანშეწონილია გამოსწორდეს ზოგიერთ სილაბუსში არსებული ხარვეზები ქულათა განაწილებასთან და კომპონენტების ჩაშლასთან დაკავშირებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის ძირითადი შედეგების უფრო დახვეწა და მოკლედ ჩამოყალიბება.
  - ✓ სასურველია დაწესებულებამ სრულყოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დაადგინოს აღნიშნულისთვის სამიზნე ნიშნულები და განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების სრული მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
  - ✓ სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს, როგორც პროგრამაზე სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის, ასევე უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები.
  - ✓ სასურველია სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკა“ წინაპირობად მიეთითოს მაკროეკონომიკის პრინციპები.
  - ✓ სასურველია დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი პირებისა და საათების რაოდენობა.

- ✓ პროგრამის განვითარებისათვის სასურველია, დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტების უფრო ინტენსიური ჩართულობა კონფერენციებსა და ღონისძიებებში.
- ✓ სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ პერსონალის საქმიანობის მონიტორინგისა და მათი პროფესიული განვითარების მეთოდოლოგიის სრულად დანერგვა/განხორციელებას.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობა კვირა დღესაც არის შესაძლებელი.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული პორტალი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს სტუდენტებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს. პორტალის საშუალებით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა პროექტების შესახებ. მათ შეუძლიათ, სასურველი ვაკანსიის შემთხვევაში, პირდაპირ პორტალიდან გააგზავნონ დამსაქმებელთან რეზიუმე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა რიგი ცვლილებები, კერძოდ: გაუქმდა პროგრამაში არსებული მოდულები. სასწავლო კომპონენტების შერჩევა მოხდა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით და გათვალისწინებული იქნა მათ შორის ლოგიკური კავშირი.

ეკონომიკური პროცესების ანალიზისას თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების უნარების ჩამოყალიბებისათვის სასწავლო კურსებში: „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ - შეტანილი იქნა SPSS პროგრამული პაკეტის საკითხები, ასევე არჩევით სასწავლო კურსში „სოციალურ - ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება“ გამოიყენება - EViews პროგრამული პაკეტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების წესის (№03, 29 ივნისი, 2017) „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოხდა დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა, კერძოდ: დაემატა 1 ასისტენტ პროფესორის და 1 ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. მკაცრად გაიმიჯნა ორდონიანი სასწავლო კურსების სწავლის მიზნები და სწავლის შედეგები (მაკროეკონომიკა I-II, მიკროეკონომიკა I-II და ა.შ). დარგობრივი დეპარტამენტის მიერ გადაიხედა სასწავლო კურსების ლიტერატურაზე და მაქსიმალურად ჩანაცვლდა ახალი ლიტერატურით. რეკომენდაციის თანახმად „საქართველოს ისტორიის“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდა „ეკონომიკის ისტორით“. ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის ჩარიცხვის წინაპირობად ქართული ენის 1 დონეზე ცოდნის მოთხოვნა დარეგულირდა ბსუ-აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და სხვა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაში ნათქვამია, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ და აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარება, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ეკონომიკური ძლიერება, ასევე ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონის განვითარებაში და პრი-ორიტეტად მიაჩნია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის კვლევები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება. ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ეკონომიკის სფეროში კარგად გაცნობიერებული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ფართო ცოდნა მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებლების, ეკონომიკური პოლიტიკის, საოჯახო მეურნეობების, ფირმების ქცევაზე მოქმედი ფაქტორების, ეროვნული შემოსავლის წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების, შრომის, საქონლის, მომსახურების და ფინანსურ ბაზრებზე ფირმის და შიდამეურნეობების ქცევაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ ბაზრის ფუნქციონირების, ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზი, მისი შედეგების შეჯამება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, დამოუკიდებელი ანალიტიკური და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საჯაროდ წარდგენა, დამაჯერებლად და პროფესიულ დონეზე დასაბუთება. ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის

ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში აღწერილია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი სისტემატურად განიხილავდნენ მიღწეულ შედეგებს, აწყობდნენ საჯარო განხილვებს, სამუშაო პროცესებში მიღებულ შენიშვნებს ითვალისწინებდნენ და ახდენდნენ საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.bsu.edu.ge განთავსებული ინფორმაციის საშუალებით მისი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

პროგრამის დასაქმების სფეროში აღწერილია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო სექტორში ეკონომისტის, ეკონომიკური მრჩევლის, ანალიტიკოსის პოზიციაზე. მისი საქმიანობა შეიძლება დაუკავშირდეს ეკონომიკის ნებისმიერ სფეროს. ასევე, პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე.

პროგრამაზე 2014 წლიდან დღემდე ჩარიცხულ სტუდენტთა დინამიკას თუ განვიხილავთ, შემდეგია:



პროგრამის მომზადებამდე ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული სასწავლო კურსების დამატება და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

- ბსუ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პრო გრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება #120ნ. 2010 წლის 10 დეკემბერი) დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის - 66%, საიდანაც მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელი - 34%, ხოლო უმაღლესი აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების კი - 43%.

სასურველია პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება დაიხვეწოს და შემცირდეს, რათა დაინტერესებული პირებისთვის იყოს უფრო ადვილად აღსაქვამი.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დადასტურდა დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს. ნათელი გახდა, რომ ისინი დაინტერესებულები არიან პროგრამის განვითარებით და ჩართულები იყვნენ მისი მოდიფიცირების ეტაპზე აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც

სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. ამასთან, სასურველია დაწესებულებამ სრულყოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დაადგინოს აღნიშნულისთვის სამიზნე ნიშნულები და განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების სრული მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ დღეისათვის მიმდინარეობს ამ პროცესების შემუშავება/სრულყოფა ხარისხის სამსახურის მიერ. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ისინი დაწესებულებისგან იღებენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზების გზით. პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს სწავლის შედეგების შეფასებას და მის შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დოკუმენტი; ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი; ▪ ბსუ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge. ▪ სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში; ▪ სწავლის შედეგების შეფასების შედეგების განხილვის დამადასტურებელი მასალები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის ძირითადი შედეგების უფრო დახვეწა და მოკლედ ჩამოყალიბება; • სასურველია დაწესებულებამ სრულყოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, დაადგინოს აღნიშნულისთვის სამიზნე ნიშნულები და განახორციელოს სწავლის შედეგების შეფასების სრული მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა: „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენასა და მათემატიკაში“. დაინტერესებული პირებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის უფრო მარტივად მიწოდებისთვის, სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს, როგორც პროგრამაზე სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის, ასევე უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები. 2018 წელს პროგრამით დაინტერესებული პირი/აბიტურიანტი ეროვნულ გამოცდაზე მეოთხე გამოცდაზე არჩევით საგნად აბარებს მათემატიკას, რაც მართლაც აუცილებელი ფაქტორია, ვინაიდან პროგრამა დატვირთულია მათემატიკურ აპარატთან დაკავშირებული სასწავლო კურსებით. ჩარიცხული სტუდენტების ცოდნის ბაზა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებისათვის საჭირო დონეს და შესაბამისად მიღწევადს ხდის სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ უნარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • 2015 წლის 8 ოქტომბერის დადგენილება №111 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“

- ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
- ბსუ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge.
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში აისახოს, როგორც პროგრამაზე სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის, ასევე უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა (1.2 რჩევის გათვალისწინებით) და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის მიხედვით. კერძოდ, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის #37 დადგენილებით განისაზღვრა ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი: პირველი მუხლი ეხება ზოგად დებულებებს; მეორე მუხლი ასახავს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებს; მესამე მუხლში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები; მეოთხე მუხლში - საგანმანათლებლო პროგრამის

შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურები.

უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მიზნის მისაღწევად ყველა აუცილებელი ღონისძიებები და აქტივობები.

პროგრამის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. კერძოდ, პროგრამა განსაზღვრულია 240 კრედიტით. მათ შორის 25 კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებია: ინგლისური ენა, შესავალი ფილოსოფიაში, აკადემიური წერა, დემოკრატია და მოქალაქეობა, ფსიქოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება 125 კრედიტით განსაზღვრული სპეციალობის სავალდებულო კურსები, სპეციალობის არჩევითი კურსები მოიცავს 75 კრედიტს (60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი Minor სპეციალობა). სწავლების პერიოდში ჩამოყალიბებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებისათვის, ასევე კვლევისა და დასკვნის უნარების ჩამოყალიბებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია 5 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი.

როგორც 2.1 კომპონენტში აღვნიშნეთ პროგრამის პროგრამაზე ჩარიცხვისთვის არჩევითი მეოთხე საგანი მათემატიკაა, რაც მნიშნელოვანად გაუმჯობესებს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების ფარგლებში მათემატიკური აპარატის ათვისებას.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის საგნებში მითითებულია სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა", რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკა" თავისი შინაარსიდან გამომდინარე წინაპირობად სასურველია მიეთითოს ,,მაკროეკონომიკის პრინციპები".

გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის დაინტერესებული მხარეები აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესების პროცესში.

პროგრამაში მიზანშეწონილია I, II, III სემესტრებში სასწავლო გეგმაში ჩასმული ინგლისური ენის სწავლების დონეების გასწორება (პირველ სემესტრში შეთავაზებულია მხოლოდ A1 დონე, საჭიროა დაემატოს B1.1 (ვისაც ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ ინგლისური ენა)).

პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის შესაბამისად. პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.bsu.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ";
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №60 დადგენილება „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ";
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები (20-21დეკემბერი, 2017);
- ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 18 იანვრის ბრძანება 01-08/12 „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ";
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისი №06 გადაწყვეტილებით

დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“; • ინტერვიუს შედეგები; • ბსუ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge.
რეკომენდაციები: • პროგრამის სასწავლო გეგმაში მიზანშეწონილია გასწორდეს I, II, III სემესტრებში ინგლისური ენის სწავლების დონეები (მაგ. პირველივე სემესტრში შესაძლებელი უნდა იყოს ინგლისური ენის, როგორც A1, ასევე B1.1 დონის შეთავაზება).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკის“ წინაპირობად მიეთითოს მაკროეკონომიკის პრინციპები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში (როგორც 2.2 ქვესტანდარტში აღვნიშნეთ) 125 კრედიტით განსაზღვრულია სპეციალობის სავალდებულო კურსები, რომელიც მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1-2, ეკონომიკის ისტორია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, მაკროეკონომიკა 1-2, მიკროეკონომიკა 1-2, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1-2, მსოფლიო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა 1-2, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური დოქტრინები, ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკური უსაფრთხოება. ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და

გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით გვაქვს მოსაზრება, კერძოდ, ,,საერთაშორისო ეკონომიკის“ დასკვნის უნარია: ,,საერთაშორისო ეკონომიკის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება და მარკეტინგული ანალიზი ამ სფეროში მეცნიერულ მეთოდთა გამოყენებით“. თუმცა სასწავლო კურსის შინაარსი და თავად სასწავლო კურსი თავისი არსით ვერ გამოუმუშავებს ამ კომპეტენციას. ეკონომიკის ბაკალავრიატის პროგრამის კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი, რომლის შესრულებას ემსახურება ამავე პროგრამის ერთ-ერთი სასწავლო კურსი ,,სოციალური კვლევის მეთოდები“. მიზანშეწონილია ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით კვლევით ნაწილში მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაცია. მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და დარგის აქტუალურ მიღწევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; ▪ ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა); ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო ეკონომიკის“ სწავლის შედეგები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სასწავლო კურსის შინაარსთან; • მიზანშეწონილია ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით კვლევით ნაწილში მოხდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაცია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს უვითარებს. კერძოდ, განმავითარებელი კომპონენტის განხორციელების საშუალება სტუდენტს პროფესიული პრაქტიკის გავლით ეძლევა, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამაში 5 კრედიტი ეთმობა. პროფესიული პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს ჩაერთოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამის კვლევითი პროექტების განხორციელებაში. პროგრამით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება (საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიცირება უნდა მოხდეს 2.3 ქვესტანდარტის რეკომენდაციის შესაბამისად), რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელმძღვანელობით. სტუდენტის კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით ბსუ-ში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტებთან მოქმედებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც ხდება შემოქმედებითი პროექტების დამუშავება. წარმატებული ნაშრომების პრეზენტირება ხდება ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. სტუდენტები ღებულობენ მონაწილეობას რესპუბლიკურ და საერთაშორისო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. ბსუ-ში მოქმედებს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების მოპოვების წესი, რომლის ერთერთი მოთხოვნაა სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტში. გასაუბრებიდან გამოვლინდა ეკონომიკის პროგრამის სტუდენტების აქტიურობა ბსუ-ს სტუდენტურ კონფერენციებში. 2017-2018 სასწავლო წლის კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო 10-მდე სტუდენტმა. წარმოდგენილი მასალების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მემორანდუმებში არ არის მოცემული პრაქტიკაზე გასაგზავნი პირებისა და საათების რაოდენობა. შესაბამისად, სასურველია პრაქტიკაზე გასაგზავნი პირებისა და საათების რაოდენობის დაკონკრეტება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა); • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები https://bsu.edu.ge/sub-19/page/2-

168/index.html

- ბსუ-ს 2016 წლის 09 ივნისის დადგენილება №36, „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“.
- სტუდენტური კონფერენციის პროგრამა;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაკონკრეტდეს პრაქტიკაზე გასაგზავნი პირებისა და საათების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდები;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- სიმულაციური თამაშები.

სტუდენტთა შეფასების სისტემა რეგულირდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით კერძოდ, სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმა და კომპონენტი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განისაზღვრება ხვედრითი წილი. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი იზომება

შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატურია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისათვის. აღნიშნული მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში, ხოლო სასწავლო პროცესში მათი გამოყენების ეფექტიანობა დგინდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუს შედეგები; • ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლება-სწავლის მეთოდები); • სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანია, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო კურსებში, შუალედური და დასკვნითი გამოცდის გარდა, წარმოდგენილია შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები, რომლებიც ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას. აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში საკმაოდ დეტალურადაა წარმოდგენილი შეფასების სისტემა, კომპონენტები და სტუდენტები ინფორმირებულები არიან ამის შესახებ. თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში არის ხარვეზი ქულათა რაოდენობებთან და

კომპონენტების ჩაშლასთან დაკავშირებით (მაგ: „აკადემიური წერაში“ გაურკვეველია რა ფორმით ტარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდა, მითითებულია მხოლოდ ის, რომ ხორციელდება საგამოცდო ცენტრში. „ეკონომიკის ისტორიისა“ და „კომპიუტერული ტექნოლოგიები ბიზნესსა და ეკონომიკაში“ სასწავლო კურსებში დასაზუსტებელია შეფასების კომპონენტების ქულათა განაწილება). მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგი, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • ბსუ-ს ვებგვერდი www.bsu.edu.ge; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია გამოსწორდეს ზოგიერთ სილაბუსში არსებული ხარვეზები ქულათა განაწილებასთან და კომპონენტების ჩაშლასთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება,		✓		

პროგრამისათვი სებისშეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და დასაქმებაზე. უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო საათების განრიგი, რომლის შესახებაც ინფორმირებულები არიან სტუდენტები. მათ ეს დაადასტურეს ინტერვიუების დროს. გარდა ამისა, მოწვეულმა ლექტორებმა აღნიშნეს, რომ მოქმედი სემესტრიდან მათი საკონსულტაციო საათებიც შევიდა განრიგში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული პორტალი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს სტუდენტებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს. პორტალის საშუალებით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა პროექტების შესახებ. მათ შეუძლიათ, სასურველი ვაკანსიის შემთხვევაში, პირდაპირ პორტალიდან გააგზავნონ დამსაქმებელთან რეზიუმე. აღნიშნული, სტუდენტებმაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა პროექტების შესახებ. პროგრამის განვითარებისათვის, პროგრამის განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტების უფრო ინტენსიური ჩართულობა კონფერენციებსა და ღონისძიებებში. უნივერსიტეტში მოქმედებს ერასმუს+ გაცვლითი პროგრამა. 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგებით გაცვლით პროგრამაში ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 4 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრში - 3 სტუდენტმა (ვიზიტის განხორციელების პერიოდში არსებული მონაცემებით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საკონსულტაციო საათების დატვირთვის სქემა; • სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტატისტიკა; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტების უფრო ინტენსიური ჩართულობა კონფერენციებსა და ღონისძიებებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული პორტალი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს სტუდენტებს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს. პორტალის საშუალებით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა პროექტების შესახებ. მათ შეუძლიათ, სასურველი ვაკანსიის შემთხვევაში, პირდაპირ პორტალიდან გააგზავნონ დამსაქმებელთან რეზიუმე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 37 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 28 აკადემიური, 9 მოწვეული, 14 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა შესაბამისი კვალიფიკაცით და შესაბამისი მიმართულებით აკადემიურ საქმიანობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი არის 28/9. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების წინა რეკომენდაციის (პროგრამაში დარგობრივი აკადემიური პერსონალის დამატების შესახებ) შესაბამისად უნივერსიტეტმა 2018 წელს შესაბამისი დეპარტამენტის

შტატების რაოდენობა გაზარდა ორი ერთეულით, თუმცა კონკურსის შედეგად მხოლოდ ერთი კადრი იქნა შერჩეული. გამომდინარე ასევე იქიდან, რომ ბოლო 5 წლის (2014-2018) განმავლობაში პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა (გაორმაგდა: 30-დან 60-მდე), მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაგრძელდეს პროგრამაში ჩართული დარგობრივი აკადემიური პერსონალის დამატების პროცესი. ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერვიუს დროს ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფდა კონკურსის ხელახალ ჩატარებას. ფაკულტეტის ადმინისტრაციას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის გეგმა, სწორედ აქედან გამომდინარე ხდება სტუდენტებისთვის აკადემიური და საკონსულტაციო სერვისის მიწოდება. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, მათ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი აკადემიური საქმიანობის გამოცდილება და კვალიფიკაცია. ისინი უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტები უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილნი არიან კვალიფიციური ადმინისტრაციული და დახმარე პერსონალით, რაც უზრუნველყოფს აკადემიური სერვისის მიწოდებას მაღალ დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე; • უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს პროგრამაში დარგობრივი აკადემიური პერსონალის დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ახალი მოდელი, რაც უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ძალიან ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა შეხვედრაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე დანერგილია პერსონალის ყოველკვირეული შეფასება სტუდენტების მხრიდან, ასევე წელიწადში ერთხელ პერსონალის ურთიერთშეფასება. ასევე საინტერესოა, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით თავისივე შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფას იყენებს, რომლის განვითარებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. უსდ ზრუნავს პერსონალის პროფესიულ და პირად განვითარებაზე, რაც ცალსახად დადასტურდა პერსონალთან შეხვედრის დროსაც. აღსანიშნავია, რომ უსდ ასევე ზრუნავს აკადემიურ პერსონალის უმრავლესობას უცხოეთში ჰქონდეს მიღებული შესაბამისი მიმართულების განათლება და აქტიურად ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს 680 000 ლარი პერსონალის აკადემიური საქმიანობის განვითარების მხარდასაჭერად, საიდანაც 500 000 იხარჯება პერსონალის მივლინებეზე და 180 000 გამოყოფილია სამეცნიერო კვლევებისთვის შიდა საუნივერსიტეტო გრანტების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები; • უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობა კვირა დღესაც არის შესაძლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები; • ვიზიტი უნივერსიტეტში, მატერიალური რესურსის დათვალიერება.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკით სარგებლობა კვირა დღესაც არის შესაძლებელი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. დღეისათვის ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სტუდენტი სრულად დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ პროგრამის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის 2018-ის ბიუჯეტი; • ბსუ-ს განვითარებისთვის დახარჯული თანხის დინამიკა 2015-2018.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და

განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებს:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;
- პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;
- სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი;
- სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია;
- პერიოდული და ეფექტიანი მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილი ხარვეზების განხილვა ხდება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, მუშავდება რეკომენდაციები, რომლის საფუძველზე ხორციელდება ცვლილებები პროგრამასა და სასწავლო კურსებში. პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას.

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების, პროფესორების) მიერ მიმდინარე მოვლენების ანალიზისა და მასზე მორგებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებით.

თვითშეფასების მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად მონაწილეობდნენ პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ხარისხის სამსახურთან ერთად გამოვლენილ ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე მუშაობდნენ. კერძოდ, ძირითადი ნაკლოვანებები იყო: სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის აქტივობებს შორის სუსტი კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის წარმოჩენა, შერჩეული მეთოდების რელევანტურობა. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ცალკეული სილაბუსი განხილული იქნა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, შესწორდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისობას სწავლის შედეგებთან. ხარვეზებზე მუშაობის თითოეული ეტაპის კოორდინირებას და მონიტორინგს ახორციელებდა ხარისხის სამსახური, დარგობრივ ხარისხის კოორდინატორთან ერთად. განმეორებით გადამოწმდა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან. თვითშეფასების მომზადებაში გარკვეული როლი შეასრულა ფაკულტეტის დამხმარე პერსონალმა (დარგობრივი დეპარტამენტების სპეციალისტები, ფაკულტეტის მდივნები) მათ შეაგროვეს და დაამუშავეს თვითშეფასების ანგარიშით მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაცია.

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტიანი განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები დარგობრივ დეპარტამენტებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საინფორმაციო და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა.

დაიხვეწა სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ელექტრონული სისტემის შექმნა. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები; • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები • https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“; • ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; • ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2014 წლის 07 ოქტომბრის №02-02/60 ბრძანება ,,ბსუ-ს ზოგიერთ აკადემიურ პერსონალისათვის დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციის დაკისრების შესახებ".
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით დაწესებულება იყენებს გარე შეფასების შედეგებს. იგი დადგენილ ვადებში ექვემდებარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებულ ავტორიზაციას, ახდენს თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარედგენას და ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამებს.

2018 წლის 17 იანვარს (აკრედიტაციის საბჭოს № 12 გადაწყვეტილება) ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა რიგი ცვლილებები, კერძოდ: გაუქმდა პროგრამაში არსებული მოდულები. სასწავლო კომპონენტების შერჩევა მოხდა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით და გათვალისწინებული იქნა მათ შორის ლოგიკური კავშირი.

ეკონომიკური პროცესების ანალიზისას თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების უნარების ჩამოყალიბებისათვის სასწავლო კურსებში: „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“- შეტანილი იქნა SPSS-ის პროგრამული პაკეტის საკითხები, ასევე არჩევით სასწავლო კურსში „სოციალურ - ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება“ გამოიყენება - EViews პროგრამა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №03, 29 ივნისი, 2017 „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ წესის შესაბამისად ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოხდა დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა, კერძოდ: დაემატა 1 ასისტენტ პროფესორის და 1 ასოცირებული პროფესორის თანამდებობა (თუმცა კონკურსის შედეგად შეირჩა მხოლოდ ერთი კანდიდატი). მკაცრად გაიმიჯნა ორდონიანი სასწავლო კურსების სწავლის მიზნები და სწავლის შედეგები (მაკროეკონომიკა I-II, მიკროეკონომიკა I-II და ა.შ). დარგობრივი დეპარტამენტის მიერ გადაიხედა სასწავლო კურსების ლიტერატურა და მაქსიმალურად ჩანაცვლდა ახალი ლიტერატურით. რეკომენდაციის თანახმად „საქართველოს ისტორიის“ სასწავლო კურსი ჩანაცვლდა „ეკონომიკის ისტორით“. ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ქვეყნის რეზიდენტებისთვის ჩარიცხვის წინაპირობად ქართული ენის 1 დონეზე ცოდნის მოთხოვნა დარეგულირდა ბსუ-აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ყოველწლიურად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუ-დენტთა გამოკითხვა, 2017 წლიდან ელექტრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვაც. შემუშავებულია სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი საქმიანობის შეფასება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და სხვ.) და გარე (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, და სხვ.) შეფასების მექანიზმებით ადგენს პროგრამის განხორცილებაში არსებულ ხარვეზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, რის საფუძველზე იგეგმება ცვლილებების შეტანა. ცვლილებები განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ცვლილებების ჩამოყალიბებაში დიდი ყურადღება ექცევა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წინადადებებს, ასევე ყურადსაღებია სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების, გამოყენებული ლიტერატურის მიმართ. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ხელმძღვანელების მიერ პერიოდულად წარმოდგენილი ანგარიშებით, წინასწარი აპრობაციით. ბსუ-ში მოქმედებს სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსის, პროფესორის შეფასების ელექტრონული სისტემა, ასევე მიღებული პრაქტიკაა ყოველი სასწავლო კურსის

დასრულებამდე პროფესორ-მასწავლებლების მიერ მათთვის საინტერესო კითხვებით შედგენილი კითხვარებით სასწავლო კურსის შეფასება, რაც მათ ეხმარება სასწავლო კურსის როგორც შინაარსის, ასევე სწავლის მეთოდების დახვეწაში. სწავლების მეთოდების დახვეწაში გასათვალისწინებელია ჩეხეთის ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტში გამოყენებული მეთოდები (ეკონომიკისა და ბიზნესის პროფესორთა ვიზიტი სწავლების თანამედროვე მეთოდები და ინოვაციური ტექნოლოგიები: ევროპული გამოცდილება და მიმდინარე ტენდენციები“ -აკადემიური საზოგადოება მიხეილ ბალუდიანსკის - საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის ფარგლებში), რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლის მჭიდრო კავშირს წარმოებასთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მოდელი, რაც უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ძალიან ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა შეხვედრაზე, რომლის დანერგვა/განვითარებაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. სასურველია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მოხდეს ხელშეწყობა, რათა ხარისხის სამსახურმა შეძლოს მის მიერ წარმოდგენილი პერსონალის შეფასების მოდელის სრული დანერგვა და რეგულარულად მისი თანმიმდევრული და შეუქცევადი გამოყენება პერსონალის შეფასების, კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებისა და მათი პროფესიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები • https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html • აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა • https://employer.bsu.edu.ge/PollAdmin • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; • www.apa.bsu.edu.ge • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №104 დადგენილება - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ პერსონალის საქმიანობის მონიტორინგისა და მათი პროფესიული განვითარების მეთოდოლოგიის სრულად დანერგვა/განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლები რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუსუდან სეთურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

დავით სიხარულიძე

ანა გვრიტიშვილი

დავით ქარცივაძე